MES 7 20 0000596802

13/07/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.06.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (1-ლი- მე-4 საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (მე-5 და მე-6 საკითხები)
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი
12. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი -სხდომის მდივანი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისსხდომაზე დამსწრე მოწვეული საბჭოს წევრები

1. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე დეპარტამენტის პროფესორი
2. **ნინო მეგრელიშვილი** - შპს - "საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, მედიცინის დოქტორი
3. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.
4. **მაია გოგაშვილი** - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი.
5. **ლელა მასხულია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
6. **ირმა ბურდულაძე** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლიცენზიებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.
7. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი.
8. **ნინო ჩიხლაძე - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
9. **ნინო ნანავა** - სსიპ - თბილსის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
5	თორნიკე ბაქაქური	

		უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
6	ანა ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	მაია ჭიჭილაშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	მაია ბარამიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პირველი კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი	I
4	ვახტანგ კვარაცხელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორი	II
5	მზევინარ ფაცაცია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
6	მარინა მენთეშაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
7	ნესტან კეკელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი	II
8	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
9	ქეთევან ნანობაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი	III
10	თინათინ დოლიაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
11	ირინე შოთაძე	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	რექტორი	V-VI
12	ნინო შიუკაშვილი	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V-VI

13	ნინო კეკენაძე	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	მედიცინის სკოლის დეკანი	V-VI
14	ცისანა ლომაშვილი	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	ერთსაფეხურიანი პროგრამების ხელმძღვანელი	V-VI
15	მაია ზარნაძე	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	ერთსაფეხურიანი პროგრამების თანახელმძღვანელი	V-VI
16	ეკატერინე კლდიაშვილი	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელი	V-VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თინათინ ბოლქვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო აბესაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ლაშა გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III- IV
8	ივანა ობორნა	(ჩაერთო „ზუმით“)	V- VI
9	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	V- VI
10	ელენე ხურციძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V- VI

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სტატისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის" ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 8 აპრილის, N73 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ა. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა 19/32.

12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დისტანციურად, ონლაინ-რეჟიმში ჩაატარეს ვიზიტი. მან განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ბათუმის უნივერსიტეტს კანონის დონეზე აქვს ვალდებულება ჰქონდეს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, მას გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე აქამდე არასოდეს ჰყოლია სტუდენტი. გაცემული იყო რამდენიმე შენიშვნა და ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მათ ეთანხმებოდნენ, რაც შემდგომ არგუმენტირებულ პასუხშიც აისახა. მან განმარტა, რომ თუკი საბჭო უფრო მეტად ისურვებდა თემის განვრცობას, იგი მზად იყო ამისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციის გარდა, ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც რჩევაში იყო ჩაწერილი, თავისი სიმძიმით, რეკომანდაციაში უფრო გადიოდა, ვიდრე რჩევაში.
ამის თაობაზე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის და პირველი ქვესტანდარტის შეფასებები არ იყო ზედა ნაწილში ატანილი. კერძოდ, დასკვნაში ვკითხულობთ, რომ სილაბუსებში მოყვანილი ზოგიერთი ლიტერატურა არ არის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, რაც საბჭოს წევრის აზრით, არსებითი ხასიათის ხარვეზია და უნდა ასახულიყო შესაბამისად რეკომენდაციებში და არა რჩევებში.
ექსპერტმა ამაზე უპასუხა, რომ ინსტიტუტს არ ჰყავს ამ კუთხით სტუდენტი, არც ჩანს და მისთვის პირადად ამ რეკომენდაციის გაცემა არ იყო საჭირო, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნიდა თავად პროგრამას და ამის საჭიროება არ იყო. მან დასძინა, რომ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, ისინი დარწმუნდენენ რომ ინსტიტუტი თავის დანიშნულებას ასრულებს, ხელოვნების სფეროში ის ძალიან კარგია, ამრიგად, ექსპერტმა არ გასცა ასე მკაცრად რეკომენდაციები.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოსთვის საკმაოდ რთულია მსგავს პროგრამებზე გადაწყვეტილების მიღება. რადგან კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ მსგავს უნივერსიტეტებს ჰქონდეთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ხშირად კი უნივერსიტეტს ან ინსტიტუტს არ აქვს სურვილი ასეთი პროგრამა ჰქონდეს, ანდაც არ ჰყავს სტუდენტები. თუმცა კი, ამ პროგრამის ჩავარდნის შემთხვევაში სხვა პროგრამებიც ვეღარ აგრძელებენ ფუნქციონირებას.
ექსპერტმა ამაზე საპასუხოდ აღნიშნა, რომ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თუნდაც აზერბაიჯანული და სომხური თეატრის კვალდაკვალ ინსტიტუტში არ არიან უცხოენოვანი სტუდენტები, თორემ თავად კანონი, რომელიც ამ საკითხს ითვალისწინებს, ნამდვილად საჭიროა. ექსპერტს მოჰყავს მაგალითად მარნეულის უცხოენოვანი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არ ჩამოდის ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად და ამჯობინებს იაროს თბილისში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტებს და ასევე აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ თანადგომა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომ ეს პროგრამა ერთობლივად განხორციელებულიყო ორივე უნივერსიტეტის ბაზაზე. ამის შედეგად, მან აღნიშნა, რომ ორივე უნივერსიტეტს ჰყავდა ერთი და იგივე პერსონალი, რომელიც შოთა რუსთაველის ფილოლოგიის ფაკულტეტიდან იყვნენ და ბევრად გამოცდილებიც გახლდნენ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს.
საბჭოს წევრმა გამოთქვა სურვილი დაესვა კითხვა პროგრამის ხელმძღვანელისთვის, რომელიც იმ დროისათვის ბათუმის ერთ-ერთ კონფერენციაზე იმყოფებოდა ონლაინ-რეჟიმში, რის გამოც ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას. ამის შემდგომ საბჭოს წევრმა კითხვა დაუსვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რომელიც შინაარსობრივად ჩახედული იყო პროგრამაში.
საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის მიხედვით, ქართული ენის შესწავლა ხდება, როგორც მეორე ენის სწავლება, რაც გულისხმობს, რომ იგი უნდა ისწავლებოდეს, როგორც უცხო ენა. მან დაუსვა კითხვა და მოიყვანა მაგალითი, თუკი სმენოდათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სადმე ასეთი საგნები - „ინგლისურის მოსმენა“, „ინგლისური კითხვის სტრატეგიები“, „ინგლისური ლაპარაკი“. მან აღნიშნა, რომ ეს საგნები საკმაოდ ხელოვნურია და ისინი სხვა უნივერსიტეტის პროგრამებშიც იყო ჩადებული და გარკვეული პერიოდის შემდეგ ამოიღეს კიდეც.
უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა არასწორი იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ არ ესწრებოდა პროგრამის ხელმძღვანელი და ასევე დასძინა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტს არ ჰყავს ამ კუთხით სტუდენტები და ამ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ აბსტრაქტული და საქმეს მოკლებული იქნებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) პროგრამა ნაწილობრივ ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ რეკომენდაციათა ჩარჩოს სტანდარტსა და ძირითად კრიტერიუმებს. მან მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს საერთოევროპული სტანდარტი, რომ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტი პასუხობდეს B დონის მოთხოვნებს;
ბ) რეკომენდირებულია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება და სილაბუსის მიზნის შესაბამისი ლიტერატურის მითითება;
გ) რეკომენდირენულია ორთოეპიის კურსის შინაარსის გადამუშავება;

დ) რეკომენდირებულია საჭირო ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ახალი ლიტერატურით და მათი ასახვა სილაბუსებში, ასევე სილაბუსებში დასახელებული ყველა ლიტერატურის ბიბლიოთეკის კატალოგში არსებობა;
ე) რეკომენდირებულია მიეთითოს ამა თუ იმ კურსის მისაღწევი მიზანი ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს რომელ დონეს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საჭიროა სილაბუსების განახლება;
ვ) პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების რუკა ძალიან ფორმალურია. საჭიროა იგი შეივსოს უფრო კონკრეტული ინფორმაციით.
ზ) პროგრამის შექმნაში მონაწილეობდეს ყველა პედაგოგი და მთელი დატვირთვა არ მოდიოდეს პროგრამის ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა პედაგოგთა მსგავსად მოწვეულია.
თ) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნების გაზომვის მექანიზმის გადახედვა და სწავლის მიზნებისა და შეფასების სისტემის შესაბამისობის გადასინჯვა.
ი) პროგრამის მდგრადობისთვის რეკომენდირებულია პროგრამაში გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და პროგრამას ხელმძღვანელობდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.

რჩევები:

ა) სასურველია წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებებს სხვადასხვა ლექტორები უძღვებოდნენ.
ბ) სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ.
გ) პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, სადაც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან გადაკვეთა მონიშნულია ყველა იმ შემთხვევაში, თუ კურსის მიზნები პირდაპირ ან გამჭოლად ითვალისწინებს აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, სასწავლო კურსების გადაკვეთაზე მონიშნული იყოს მხოლოდ ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა, შეჯამება და შეფასება ხდება მითითებულ სასწავლო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლის შედეგების მიღწევა გამჭოლად გასდევდეს სხვა წინმსწრებ ან პარალელურად მიმდინარე კურსებს.
დ) სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს „ქართულ ენაში მომზადების“ დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სტატისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი სტატისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 18 აპრილის N101 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი სტატისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სტატისტიკის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 26, მეორე სასწავლო კორპუსი.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლის 12 მაისს განახორციელა დისტანციური ვიზიტი ონლაინ-რეჟიმში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მან ასევე დასძინა, რომ მსგავსი მასშტაბის სამაგისტრო პროგრამა სტატისტიკის კუთხით, სხვა სასწავლებლებს არ გააჩნიათ. აღინიშნა, რომ ამ პროგრამას სოხუმის უნივერსიტეტში ჰყავდა წინამორბედი - „გამოყენებითი სტატისტიკა“, თუმცა ისინი ანიჭებდნენ არა გამოყენებითი სტატისტიკის, არამედ გამოყენებითი მათემატიკის კვალიფიკაციას. 2019 წლიდან მოხდა ამ პროგრამის შეცვლა, რაც აისახა კიდეც კვალიფიკაციაზე და 2019 წელს მან გაიარა აკრედიტაცია. იმ დროის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას 1 წლიანი აკრედიტაცია მიენიჭა და იმავე წელს დაიწყო კიდეც ფუნქციონირება. ამჟამად კი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი დასკვნის საფუძველზე პროგრამის

ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დასკვნაში მოყვანილია ორი რეკომენდაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სილაბუსებში მოყვანილი ლიტერატურის განახლებას, რადგან მოცემული წიგნები დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებობს განახლებული სახის ლიტერატურა ამ სფეროში და საჭიროა, რომ ისინი განახლდეს. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში გაწერილი იყოს და გათვალისწინებული, რომ დაფინანსდეს მომუშავე პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიები და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობები. ასევე მან განმარტა, რომ რეკომენდაციები და რჩევები უნივერსიტეტის მიერ დადებითად იყო აღქმული და ნაწილი გამოსწორებული იყო კიდეც.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

პროგრამის თანახელმძღვანელმა მადლობა გამოთქვა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. მან აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია წიგნების განახლებასთან დაკავშირებით და შეიძინეს კიდეც რამოდენიმე უფრო ახლადგამოცემული სახელმძღვანელო. ასევე მან აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ასევე მეორე რეკომენდაციაც, რომელიც მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას შეეხება.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უნდა დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 3 ბრძანების (5.01.2007) მე-4 მუხლის მე-19 პუნქტთან პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის „ვ“ და „ზ“ პუნქტები.

გადასახედი და შესასწორებელია პროგრამის სწავლის შედეგები „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ განხრით. ასევე, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მეორე შედეგის ნაწილი და მესამე შედეგი (უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის დაცვით) გადასატანია უნარებში და სხვ.

გადასახედი და შესასწორებელია კურიკულუმის რუკა, სადაც ყველა სასწავლო კურსით/კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება, თუმცა არცერთი სასწავლო კურსით არ ხდება შედეგის განმტკიცება. ასევე, პროგრამის ყველა სასწავლო კურსი/კომპონენტი ავითარებს „ პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას“.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სტატისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, 5.1 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად, მე-5 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა", როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) განახლდეს მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები უახლესი ლიტერატურის საფუძველზე;
ბ) დაწესებულებამ მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მათი პროფესიული ზრდისათვის. მეტი ყურადღება დაუთმოს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. ეს ფაქტი უნდა აისახოს პროგრამის ბიუჯეტშიც;
გ) დაკორექტირდეს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა;
დ) დაკორექტირდედეს პროგრამის სწავლის შედეგები. კერძოდ, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი;
ე) დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სტატისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 18 ივლისის N81 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	-
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა თამარ ტუფინაშვილმა.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 ივლისს მიმდინარე პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია და ახლა განიხილავენ მონიტორინგის შედეგებს. მან დასძინა, რომ ვიზიტის გარეშე განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტაცია და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიზნიდან გამომდინარე განხორციელდა - 1, 2, 4, 4.1 კომპონენტის 5, 51.5.2 სტანდარტების შეფასება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მონიტორინგის პირობების შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უპირატესად შესრულებულია, კერძოდ: 1. დაკორექტირებულია სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სწავლის შედეგები; 2. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად არის შეთავაზებული საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკა (10 კრედიტი); 5 3. სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაზრდილია პრატქიკული მეცადინეობების მოცულობა; 4. დაკორექტირებულია სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ სწავლის შედეგები; 5. პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში შეთავაზებულია კალკულუსის კურსი, ხოლო სასწავლო კურსები ,, ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ და ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 2“ ჩამოყალიბებულია ერთუ კურსის სახით ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“, სადაც კურსის შინაარსიდან გამომდინარე ლოგიკურად არის განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობა კალკულუსის სახით; 6. ,,პრაქტიკის“ წინაპირობად განისაზღვრულია პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის; 7. გააქტიურებულია პროგრამის პოტენციური დამსაქმებლებთან მუშაობის პროცესი, კერძოდ, გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ახალი მემორანდუმი; 8. დაკორექტირებულია სასწავლო კურესის სილაბუსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდებოდა 5 ქულით, და აღნიშნული 5 ქულა გადანაწილებულია სხვა აქტივბების ქულებში; 9. შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა მომდევნო სემესტრში; 10. პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კომპონენტების კრიტერიუმები დეტალურად არის რანჟირებული; 11. სასწავლო კურსი ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის“ გადავიდა

სავალდებულო დისციპლინების მოდულში; 12. გააქტიურებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში; 13. დაკონკრეტებულია სილაბუსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - 1, 2, საერთაშორისო ბიზნესი, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ბიზნეს-კომუნიკაციები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა - 1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი), როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი; 14. გააქტიურებულია დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარდა მანამდე არსებული რეკომენდაციებისა, დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, მათ გააჩნიათ კიდევ ერთი რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გამსხვილება, შესაბამისად მათი რაოდენობის ოპტიმიზაცია და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკების კორექტირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, 2018 წელს, როდესაც გაიცა 14 რეკომენდაცია, მათ ყველა მათგანი გაითვალისწინეს და ჩაასწორეს შემოთავაზებული პირობების შესაბამისად. მან ხაზი გაუსვა, რომ აკრედიტაცია ვიზიტის შემდგომ პროგრამას მიეცა 2 თვის თავზე მონიტორინგის უფლებით. ამრიგად, ორი თვის თავზე უნივერსიტეტმა ორი თვის თავზე წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ რაც შეეხება ამჟამინდელი ვიზიტის ფარგლებში არსებულ რეკომენდაციას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა წარდგენილი იყო ძველი სტანდარტების გათვალისწინებით, ორი თვის თავზეც არ შეცვლილა და ამრიგად, მომდევნო აკრედიტაციის განაცხადის შემოტანისას პროგრამა გადასული იქნება ახალ სტანდარტებზე, რაც გულისხმობს ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას.
უნივერსიტეტის ხარისხმა დაამატა, რომ განსაზღვრულია ვადები, როცა ეს პროგრამა უნდა მოვიდეს ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში (69N- თან).

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყვიტა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. **მეოთხე საკითხი:** შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 01 აგვისტოს N92, 1 წელი და 6 თვე
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე - 13 კმ. N2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში თავად ბრძანდებოდა ექსპერტი, ამრიგად, შემდგომ წარმოდგენილი ანგარიში საფუძვლიანად შეისწავლა. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ სრულად იქნა შესრულებული. კერძოდ, პროგრამაში

განხორციელებული ცვლილებებით ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ პროგრესი განიცადა შემდეგი მიმართულებებით: 1. წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას; 2. დაკონკრეტებული და დეტალიზებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესი, დაკონკრეტებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლებას; 3. გაძლიერებულია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი, ის წარმოდგენილია 10 კრედიტის ფარგლებში, დახვეწილია და დაკორექტირებულია მასში გამოყენებული შეფასების სისტემა; 4. დაკორექტირებული სასწავლო კურსის ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები" სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო თემატიკა, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნების მიღწევას; 5. ლოგიკურად არის დაკორექტირებული პროგრამის სტრუქტურაში არსებული 10 კრედიტიანი სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა, ამავე დროს პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობისათვის საჭირო ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა: „მარკეტინგის მენეჯმენტი", „ბიზნეს სტრატეგიები" რაც თავისი შინაარსიდან გამომდინარე იგივე სტრატეგიული მენეჯმენტია და „სტრატეგიული HR მენეჯმენტი"; 6. განახლებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (,,მენეჯერული ეკონომიკა") სავალდებულო ლიტერატურა; 7. გაზრდილია პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
ექსპერტმა დასძინა, რომ გარდა ამისა, მას ჰქონდა სურვილი დაენახა და გაცნობოდა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის დონეს და მათ პერსონალურ ინფორმაციას, თუმცა მათი სახელითა და გვარებით, ცნობადობის კუთხით, ისინი საკმაოდ კარგი პროფესიონალები არიან.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათაც გაუკვირდათ, როცა აღმოაჩინეს, რომ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები გადმოგზავნილი არ იყო. მან დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეძლებდა უნივერსიტეტი, რომ გადმოეცა პირადი საქმეები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე საბჭოს მიერ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა დატოვა სხდომა, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა დიმიტრი გეგენავა.

5. მეხუთე საკითხი: შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამკურნალო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 4 ნოემბრის N257 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0104, ქ. წამებული 51/2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

6. მეექვსე საკითხი: შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 3 ივლისის N149 გადაწყვეტილება.
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0104, ქ. წამებული 51/2.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, ამჟამად დაწესებულება ახორციელებს ორ პროგრამას, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაცია ორივე პროგრამის შესახებ მოიპოვეს ვებ-გვერდიდან, დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, ასევე ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებების დროს. ქართულენოვან მედიცინის პროგრამას ამჟამად 220 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ჰყავს. მოწოდებულია გეგმა, რომ უნივერსიტეტს ორივე პროგრამაზე ჯამში წლიურად 2000 მდე სტუდენტი მიიღოს. მან აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტი დაიწყო 2020 წლის 3 მარტის დღის მეორე ნახევარში, უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებით და გასაუბრებით. ადგილზე ვიზიტი გაგრძელდა 4 და 5 მარტს. კოვიდ-19-ის ინფექციის გავრცელების საშიშროების მიზეზით, კლინიკური დაწესებულებების ადგილზე შესწავლა არ შედგა. მოგვიანებით, ექსპერტთა ჯგუფმა გააგრძელა ვიზიტი 4 მარტის შუადღიდან 5 მარტის ჩათვლით და გაესაუბრა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) კომიტეტს, ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს (სკაიპის საშუალებით), თანამშრომლებს, თსა-ს მენეჯმენტს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ბოლო გასაუბრებები ჩატარდა 2020 წლის 5 მარტს ნაშუადღევს, რასაც შემდგომ მოჰყვა ექსპერტთა ჯგუფის თათბირი, სადაც ექსპერტებმა განიხილეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ შეფასებაზე, თუ რა დონეზე შეესაბამება 4 დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებსა და მათ კომპონენტებს. ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულების დამოკიდებულება იყო ღია, პატივისცემით აღსავსე, თანამშრომლური და პროფესიული. მათ არჩეული აქვთ გზა განვითარებისკენ და არიან დინამიკურნი. თანამშრომლები გამოირჩევიან ენთუზიაზმითა და პროფეიონალიზმით. ექსპერტმა დაამატა, რომ მიუხედავად ამისა, ვიზიტისას დაფიქსირდა მცირე ხარვეზები, რაც შემდგომ აისახა კიდეც რეკომენდაციებსა და რჩევებში. ექსპერტმა,

აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შეეხება შემდეგ საკითხებს - ხელახლა გადაიხედოს სტუდენტების რაოდენობის გეგმის გაზრდა არადასაქმებული სტუდენტების მაჩვენებლებთან და არაკვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მიმართებით. გათვალისწინებული იყოს ბაზრის კვლევის ანალიზი. სტუდენტების სწავლება უნდა განხორციელედეს შესაბამის კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის პერსონალით რელევანტური კომპეტენციების შესაძენად. ექსპერტმა დასძინა, რომ ასევე რეკომენდებულია სწავლებისათვის ხელმისაწვდომი პაციენტების რაოდენობა და კლინიკური პირობების ნაირსახეობა, უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მოიპოვონ ყველა საჭირო კლინიკური გამოცდილება, სწავლების მიზნებისთვის პაციენტების გადამეტებული ან ხანგრძლივი გამოყენების გარეშე. ასევე უნდა გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით. ჯგუფების მოცულობა და სტუდენტებისა და ლექტორების თანაფარდობა თითოეული სწავლების მეთოდისათვის უნდა ეფუძნებოდეს არსებულ წესებს. მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს მიღებული მხედველობაში რომელიც შესრულებულია დაწესებულების სახელით და მის ფარგლებში. გათვალისწინებული უნდა იყოს კავშირი პერსონალის რაოდენობას, დატვირთვასა და სტუდენტების რაოდენობას შორის. უნდა შეფასდეს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა. გასათვალისწინებელია კლინიკური სწავლების ხარისხი და შესაფასებელია კლინიკური საგნები სტუდენტების რაოდენობის, ლექტორებისა და 5 შესაფერისი პაციენტების მიხედვით, რომლებიც ჩართულნი არიან კლინიკურ აქტივობებსა და მეცადინეობებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გააჩნიათ 28 წლის ისტორია, რომ იყვნენ ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი, რომელთაც გააჩნდათ სამედიცინო გამოცდილება. მან ხაზი გაუსვა, რომ 2018 წელს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე გადავიდა უნივერსიტეტი. მათ საბჭოს WFM-ის ექსპერტები ესწრებოდნენ, რომლებმაც ძალიან კარგი შეფასებები მიიღებს. ჯამში იყო 13 რეკომენდაცია, აქედან 9 მათგანი ეხებოდა მესამე სტანდარტს - პროგრამის განვითარების და ადამიანური რესურსების მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ ამ ორი წლის მანძილზე უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა და გაითვალისწინა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ორივე პროგრამა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად იყო შექმნილი.
უნივერსიტეტის ხარისხმა აღნიშნა, რომ 7 რეკომენდაციიდან ორ რეკომენდაციას სრულად ეთანხმებიან. ესენია - კლინიკებში ადმინისტრაციულ პერსონალთან მიმართებაში და ასევე სამეცნიერო-კვლევით სტატიებთან დაკავშირებულ საკითხებს. მან დასძინა, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ უცხოურ გრანტებზე და საერთაშორისო კონფერენციების მოძიებაზე, რომ მათი მომუშავე პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევით სამუშაოებში.
უნივერსიტეტის ხარისხი შეეხო პირველ რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობასა და დასაქმების ხარისხს. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ორივე პროგრამაზე უნივერსიტეტი იღებს 175 სტუდენტს რამოდენიმე წელია. რაოდენობის ზრდა მხოლოდ 20 სტუდენტით ხდება, რომლებიც არიან ეროვნებით ქართველები და სურთ უცხოენოვან პროგრამაზე გააგრძელონ სწავლება. კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი უნივერსიტეტს გააჩნია 80%. საქმინობა პროცენტის გამოთვლისას მხედველობაში იქონიეს დასაქმება მხოლოდ კლინიკური და მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. არ ჩაუთვლიათ საქმიანობის გაგრძელება სადაზღვევო კომპანიებში, ანდაც ფარმაცევტულ კომპანიებში. თუკი მხედველობაში მივიღებთ ამ ორ დარგსაც, მაშინ დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გახლავთ 86%. უნივერსიტეტი ყოველმხრივ ცდილობს, რომ უფრო მეტი დასაქმებული კურსდამთავრებული ჰყავდეს და მათი მცდელობა ექსპერტების მიერ ძალიან დადებითად შეფასდა ვიზიტის ფარგლებში.

უნივერსიტეტის დეკანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ 2, 3, 4 და 7 რეკომენდაციები ძალიან მსგავსია და პრაქტიკულად ერთი მიმართულების საკითხებს მოიცავს. მან დასძინა, რომ ყველა ეს შეფასება ეფუძნება მეორე და მეოთხე სტანდარტს და ფაქტობრივად იმეორებს ერთსა და იმავეს. მან აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციის საპასუხოდ, ყველა კლინიკა, რომელთანაც უნივერსიტეტს აქვს შეხება გახლავთ მულტიპროფილური კლინიკა. მან აღნიშნა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია ექსპერტების მიერ არ იყო ეჭვქვეშ და კლინიკის მედ. პერსონალზეც იგივე შეიძლებოდა აღგვენიშნა. მან ასევე აღნიშნა, რომ პეციენტების რაოდენობა დღიურად განსაზღვრულია დაახლოებით თითო სტუდენტზე 2-3 პაციენტის ნახვის შესაძლებლობით. ეს ინფორმაცია თავად სტუდენტების მიერ არის მოწოდებული ექსპერტების ვიზიტის დროს. სტუდენტებს შეხება აქვთ, როგორც ამბულატორიულ, ისე ჰოსპიტალურ სეგმენტთან. თითოეული ჯგუფი დაყოფილია 5-5 ადამიანად, რომელთაც აქვთ არჩეული დამოუკიდებელი მიმართულება მედიცინის სფეროში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების თანაფარდობის საკითხი არცერთ სტანდარტში არ არის მოყვანილი, მათ შორის არც WFM-ის კუთხით, რომელსაც ისინი იღებენ სახელმძღვანელოდ. მან დასძინა, რომ 2019 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა 27%-ით გაიზარდა, მოწვეული პერსონალის რაოდენობა 29%-ით გაიზარდა და კლინიკების რაოდენობა კი - 23%-ით. მან ხაზი გაუსვა, რომ რეალურად წარმოდგენილი 4 რეკომენდაცია ერთგვაროვანია და ამრიგად, ერთიანად გასცა უნივერსიტეტმა მათზე პასუხი, ხოლო დანარჩენ რეკომენდაციებს ეთანხმებიან და სრულად ითვალისწინებენ.

სხდომის თავმჯდომარემ უცხოელ ექსპერტს შესთავაზა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის რეზიუმირება ინგლისურ ენაზე, რაზეც მან სურვილი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტს წამოედგინა მოკლე მონახაზი იმისა, თუ რა ისაუბრეს სხდომის პროცესში ქართულ ენაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გაიმეორა ზემოთ აღნიშნული თემები ინგლისურ ენაზე.

რეზიუმირების შემდეგ, უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ხაზს უსვამდა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნდა საკუთარი კლინიკა და სწავლება ამ კუთხით მიმდინარეობდა მხოლოდ ხელშეკრულებით გაფორმებულ კლინიკებთან. მან დასძინა, რომ იგეგმება უნივერსიტეტის მიერ საკუთარი კლინიკის მშენებლობა, თუმცა ამ ეტაპზე ყველაფერი ხელშეკრულების დონეზეა. მან ასევე აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში კლინიკებში ერთ ლექტორთან ათ სტუდენტზე მეტი ჯგუფია, თანაც გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერი, რადგან უმეტესობა დოკუმენტი მოყვანილია ქართულ ენაზე და ლექტორის ახსნის გარეშე სტუდენტები ვერ გაიგებენ კლინიკურ მდგომარეობას. პაციენტების დიდი ნაწილი ასევე ვერ ფლობს ინგლისურ ენას და ექიმთან ვიზიტის დროს, უცხოენოვან სტუდენტებს თუკი არ უთარგმნიან ინგლისურად, ისინი ვერ გაიგებენ რაზეა საუბარი. ეს კი წარმოუდგენელია იმ პირობებში, როდესაც ჯგუფში ათი და მეტი სტუდენტია.

დარგობრივი საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა უცხოენოვან ექსპერტს. იგი დაინტერესდა, მიიღეს თუ არა უკუკავშირი სტუდენტებისგან ექსპერტებმა, რამდენი სტუდენტი ესწრებოდა კლინიკურ მეცადინეობებს. მან დასძინა, რომ იმ ორ კლინიკასთან, რომელთანაც ხელშეკრულება ჰქონდა უნივერსიტეტს გაფორმებული, საკმაოდ კარგი იყო. მესამე კლინიკასთან მას არ ჰქონია შეხება და ამიტომ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისგან უკუკავშირი დადებითი იყო. სტუდენტებმა ვიზიტისას აღნიშნეს, რომ კლინიკური კურაციის დროს თითო პაციენტის ნახვის საშუალება ეძლეოდათ. მან დასძინა, რომ ვიზიტზე იყო სტუდენტი ექსპერტი, რომელიც უკეთ გასცემდა ამ კითხვას პასუხს.

სტუდენტმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან საუბრისას მან შეიტყო, რომ ჯგუფებში 12-მდე სტუდენტი იყო და ისინი იყოფოდნენ ასევე მცირე ჯგუფებად და დაახლოებით 5-6 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებს ქმნიდნენ. თითოეული მცირე ჯგუფი ხვდებოდა ცალკეულ პაციენტებს. მან დასძინა, რომ სტუდენტების თქმით თითოეულ ექიმს ჰყავდა ასისტენტი,

რომელიც ეხმარებოდა სწავლების პროცესში, რათა მიეღოთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება კლინიკური მეცადინეობებისგან. ასევე, მათ აღნიშნეს, რომ საკმარის ყურადღებას იღებდნენ ლექტორებისგან.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ შიდა გრანტის არსებობა, რომლითაც დაწესებულება აფინანსებდა, როგორც სტუდენტებს, ასევე მომუშავე პერსონალს, ძალიან მისასალმებელი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ ინტერესდებოდა თუ რა უპირატესობა გააჩნია პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებულ სწავლებას. იგი დაინტერესდა თუ როგორ იყო შენარჩუნებული გუნდური მუშაობის სწავლების პროცესში შენარჩუნებული სწავლების სტრუქტურა და კომპონენტები. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, პორტფოლიოს შემთხვევაში, ფორმაციული მიდგომით ხდება მისი გამოყენება თუ სუმაციური მეთოდით. იგი თვლის, რომ ფორმაციული მიდგომა უფრო სწორი იქნებოდა, ვიდრე ცალკე კრედიტის გამოყოფა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გუნდურ მუშაობაზე სწავლების პრაქტიკა ძალიან კარგია, ნაკლებ ხარჯეფექტურია. მათი მონაცემებით, ლექტორებთან უკუკავშირის შედეგად დადგინდა, რომ სწავლების ეს ფორმა ისეთი სტუდენტების ჩართულობასაც იწვევს, რომლებიც აქამდე პასიურ როლში იყვნენ სწავლების პროცესში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პორტფოლის შესახებ კარგი შედეგები ჰქონდათ. კითხვის საპასუხოდ მან აღნიშნა, რომ იგი მოიცავს როგორც სუმაციურ, ისე ფორმაციულ ხასიათს, თუმცა კი მეტი წილი სწავლების პროცესზეა დამყარებული. ძირითადად ასევე იგი დოკუმენტაციურ დონეზე ხორციელდება და ახლაც მიმდინარეობს პლატფორმის ძიების პროცესი. მას არ გააჩნია ცალკე კრედიტი. პორტფოლიოს კომისია, რომელიც შედგება ორი აკადემიური პერსონალისგან ანიჭებს სწავლების ბოლოს აფასებს პორტფოლიოს ანუ მთლიანად 6 წლის შედეგს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მოცემულია, სტუდენტს რომელიც ესწრება პრაქტიკული მეცადინეობების 80%-ს ენიჭება 5 ქულა. იგი ინტერესდება, აქვს თუ არა უნივერსიტეტს სხვა შეზღუდვები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში ენიჭება სტუდენტს 5 ქულა, თუკი იგი ესწრება პრაქტიკული მეცადინეობების 80%-ს. თუკი მას 80%-ზე ნაკლები დასწრება გააჩნია, მაშინ იგი იღებს 0 ქულას. თუკი მან დააგროვა 31 ქულა (მიუხედავად იმისა იგი მიიღებს თუ არა ამ 5 ქულას) მას შეუძლია გავიდეს გამოცდაზე.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნო კურიკულუმის რუკას და დაინახა, რომ ანატომია იყო მხოლოდ პირველ სემესტრში. იგი ინტერესდება, თუ რამდენი ხანი გრძელდება იგი. ასევე მან აღნიშნა, რომ პირველი კურსის პირველ სემესტრში არის იმუნოლოგია და იგი ინტერესდება თუ რა თანმიმდევრობით ხდება ამ საგნების განაწილება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იმუნოლოგია არ ისწავლება პირველ სემესტრში, რომ მათ პირველ სემესტრში აქვთ საგნად გენეტიკა. მან აღნიშნა, რომ მათ გააჩნიათ ინტეგრირებული სწავლების მოდულები.

მოწვეული საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, დოკუმენტაციაში მოყვანილია, რომ თანამშრომლობა ინსტიტუტს აქვს 36 კლინიკასთან და იგი ინტერესდება, როგორ ხდება ამ კლინიკების შერჩევა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრიორიტეტულია მულტიპროფილური კლინიკების შერჩევა, უნივერსიტეტთან ურთიერთობის გამოცდილება და პერსონალი, რომელსაც უზიარებენ კლინიკას.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უფრო გასაძლიერებელია ქართული ენის სწავლება უცხოელი სტუდენტებისთვის, რათა მათ სრულფასოვნად მიიღონ კლინიკური სწავლება. ასევე მან ისაუბრა, რომ უნივერსიტეტს მიღების წინაპირობად AEMC-ს რეკომენდაცია არის მითითებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიღების წინაპირობები ტექნიკური მახასიათებლებია უპირატესად. მან დასძინა, რომ აკადემიაში მომდევნო წლიდან ქართული ენის

სწავლება იქნება ორი წელი ინტენსიურად. ხოლო ორი წლის შემდეგ ისინი ჩააბარებენ პრაქტიკულ გამოცდას ქართულ ენაში, რისი ჩაუბარებლობის შემთხვევაში ისინი შემდეგ კურსზე ვეღარ გადავლენ.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობებზე უფრო მეტი სიზუსტე სჭირდებოდა და ასევე დაინტერესდა, თუ რომელ კონკრეტულ უნივერსიტეტებთან ხდება თანამშრომლობა უნივერსიტეტის მხრიდან.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო 2 წლის მანძილზე ინტერნაციონალიზაციის კუთხით მათ დიდი ნაბიჯები გადადგეს. გაფართოვდა ასევე ცალკე კურიკულუმის კომიტეტი. ხდებოდა ანტროპენის უნივერსიტეტის მიერ ვიზიტები და ტრენინგების ჩატარება. პროგრამის კუთხით პროგრამამ ორი გარე შეფასება მიიღო. ერთ-ერთი შარიტეს უნივერსიტეტის პროფესორისგან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მოთხოვნა ზღვრული კუთხით, საუკეთესო პრაქტიკაში არის გაყვანილი. სოციალური დახმარებაც გადის საუკეთესო პრაქტიკაში - კურდამთავრებულებს უხდიდნენ თანხის ნახევარს, როცა ისინი იწყებდნენ მუშაობას.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ძალიან დიდი გზა განვლო და საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიანი და „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხები, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ მე-5 საკითხთან მიმართებით განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

ა) გადაიხედოს პორტფოლიოსთვის კრედიტების მინიჭების კონცეფცია, გაანალიზდეს ერთიანი პროგრამის ფარგლებში და აისახოს შესაბამის რუკაში.
ბ) ხელახლა გადაიხედოს სტუდენტების რაოდენობის გეგემის გაზრდა არადასაქმებული სტუდენტების მაჩვენებლებთან და არაკვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მიმართებით. გათვალისწინებული იყოს ბაზრის კვლევის ანალიზი.
გ) სტუდენტების სწავლება უნდა განხორციელდეს შესაბამის კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის პერსონალით რელევანტური კომპეტენციების შესაძენად.
დ) სწავლებისათვის ხელმისაწვდომი პაციენტების რაოდენობა და კლინიკური პირობების ნაირსახეობა, უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მოიპოვონ ყველა საჭირო კლინიკური გამოცდილება, სწავლების მიზნებისთვის პაციენტების გადამეტებული ან ხანგრძლივი გამოყენების გარეშე;
ე) გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით;
ვ) ჯგუფების მოცულობა და სტუდენტების და ლექტორების თანაფარდობა თითოეული სწავლების მეთოდისათვის უნდა ეფუძნებოდეს არსებულ წესებს;

ზ) მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, რომელიც შესრულებულია დაწესებულების სახელით და მის ფარგლებში გათვალისწინებული იყოს კავშირი პერსონალის რაოდენობას და დატვირთვას და სტუდენტების რაოდენობას შორის. შეფასდეს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა. გათვალისწინებული იყოს კლინიკური სწავლების ხარისხი და სეფასდეს კლინიკური საგნები სტუდენტების რაოდენობის, ლექტორების და შესაფერისი პაციენტების მიხედვით, რომლებიც ჩართულნი არიან კლინიკურ აქტივობებში და მეცადინეობებში.

რჩევა:
სასურველია, პროფესიულ რეზიუმეებში (CV) უცხო ენის ფლობის შესახებ ინფორმაცია მიეთითოს ენის ფლობის საერთო ევროპული ცარჩიოს მიზედვით (CEFR).

საბჭომ მე-6 საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

ა) გადაიხედოს პორტფოლიოსთვის კრედიტების მინიჭების კონცეფცია, გაანალიზდეს ერთიანი პროგრამის ფარგლებში და აისახოს შესაბამის რუკაში.
ბ) გაძლიერდეს ქართული ენის სწავლება უცხოელი სტუდენტებისთვის, რათა მათ სრულფასოვნად მიიღონ კლინიკური სწავლება.
გ) ხელახლა გადაიხედოს სტუდენტების რაოდენობის გეგემის გაზრდა არადასაქმებული სტუდენტების მაჩვენებლებთან და არაკვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მიმართებით. გათვალისწინებული იყოს ბაზრის კვლევის ანალიზი.
დ) სტუდენტების სწავლება უნდა განხორციელედეს შესაბამის კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის პერსონალით რელევანტური კომპეტენციების შესაძენად.
ე) სწავლებისათვის ხელმისაწვდომი პაციენტების რაოდენობა და კლინიკური პირობების ნაირსახეობა, უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მოიპოვონ ყველა საჭირო კლინიკური გამოცდილება, სწავლების მიზნებისთვის პაციენტების გადამეტებული ან ხანგრძლივი გამოყენების გარეშე;
ვ) გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით;
ზ) ჯგუფების მოცულობა და სტუდენტების და ლექტორების თანაფარდობა თითოეული სწავლების მეთოდისათვის უნდა ეფუძნებოდეს არსებულ წესებს;
თ) მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, რომელიც შესრულებულია დაწესებულების სახელით და მის ფარგლებში გათვალისწინებული იყოს კავშირი პერსონალის რაოდენობას და დატვირთვას და სტუდენტების რაოდენობას შორის. შეფასდეს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა. გათვალისწინებული იყოს კლინიკური სწავლების ხარისხი და სეფასდეს კლინიკური საგნები სტუდენტების რაოდენობის, ლექტორების და შესაფერისი პაციენტების მიხედვით, რომლებიც ჩართულნი არიან კლინიკურ აქტივობებში და მეცადინეობებში.

რჩევა:
სასურველია, პროფესიულ რეზიუმეებში (CV) უცხო ენის ფლობის შესახებ ინფორმაცია მიეთითოს ენის ფლობის საერთო ევროპული ცარჩიოს მიზედვით (CEFR).

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის,

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: 1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით და 2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა